ერთობ ძვირფასი გამარჯვება

დონეცკი. “შახტიორის” ცენტრალური სტადიონი. 28 სექტემბერი. 30 000 მაყურებელი. “შახტიორი” (დონეცკი) – “დინამო” (თბილისი) 2:3.

“შახტიორი”: გავრილოვი, პოკიდინი, სმიგუნოვი, რადენკო, პარხომენკო, გოშკოდერია, იაშჩენკო, სოკოლოვსკი, მოროზოვი, პეტროვი, კრავჩენკო.

“დინამო”: აბუსერიძე, კეტაშვილი, მახარაძე, ჭედია, არზიანი, კაკილაშვილი, სვანაძე, სულაქველიძე, გუცაევი, ცაავა, შენგელია.

მე–6 წთ. პარხომენკო, მე–18 წთ. შენგელია, 42–ე წთ. შენგელია, 50–ე წთ. კრავჩენკო, 63–ე წთ. შენგელია.

ცაავას ნაცვლად – ჩქარეული, არზიანი ნაცვლად – მიქაბერიძე, პეტროვის ნაცვლად – სმოლიანინოვი, სმიგუნოვის ნაცვლად – ვასილიუკი.

მსაჯი: ალექსანდრ მუშკოვეცი (მოსკოვი).

გააფრთხილეს აბუსერიძე.

დუბლიორები: 0:1. გოლი გაიტანა ჟორდანიამ.

მეშახტეთა ქალაქში ყველას უჭირს თამაში და გამონაკლისს არც თბილისელები წარმოადგენენ, თანაც, “შახტიორი” როგორც წესი, სულ არ აქცევს ყურადღებას მეტოქის ტიტულებს – მაყურებლებით შეგულიანებული გუნდი მხოლოდ გამარჯვებისთვის გამოდის მინდორზე.

თავის მხრივ, დიდი საფეხბურთო ტრადიციების მქონე თბილისელთა გუნდიც მშვენიერი გამაღიზიანებელია ნებისმიერი მეტოქისთვის. “დინამოს” წინააღმდეგ განსაკუთრებით მონდომებულად თამაშობენ, გათამაშების ცხრილის რომელ ადგილზეც უნდა იყოს იგი.

ამ ფაქტების გამოა, რომ “დინამო” – “შახტიორის” მატჩი ყოველთვის საინტერესო და დაძაბულია.

აუტსაიდერი გუნდიდან თბილისის “დინამო” თანდათან ჩემპიონატის ერთ–ერთ ლიდერად იქცა და ეს გარემოება ახლა განსაკუთრებულ ფასს ადებს მის მიერ მოპოვებულ თუ დაკარგულ ყოველ ქულას.

დონეცკის მატჩმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ჩვენს გუნდს სერიოზული მიზანი დაუსახავს და სერიოზულადვე ეკიდება ამ, ეს–ეს არის ფეხზე დამდგარი გუნდისთვის, ერთობ რთულ საქმეს.

თამაში, ბუნებრივია, მასპინძელთა შეტევებით დაიწყო. მე–6 წუთზე პარხომენკომ ძლიერი, ზუსტი დარტყმით დააწინაურა თავისი გუნდი. თითქოს ამას უცდიდნენო, თბილისელები გააქტიურდნენ. მე–18 წუთზე საჯარიმო დარტყმის შემდეგ მეკარე გავრილოვმა ვერ შეძლო ბურთის შეჩერება და შენგელიამ მშვენივრად ისარგებლა ამით – 1:1.

25–ე წუთზე იაშჩენკოს კვლავ შეეძლო დაეწინაურებინა მეშახტეები, მაგრამ დარტყმა უზუსტო გამოდგა. ტაიმის მიწურულს ცაავას დარტყმულ ბურთი მოიგერია მეკარემ, მცველებმა ვერ შეძლეს ბურთის საჯარიმოდან დროზე გამოტანა და შენგელიამ მეორედ გამოიჩინა თავი – 2:1.

ხუთი წუთის დაწყებული იყო მეორე ტაიმი, როცა დასანანი გოლი გაუშვეს სტუმრებმა – კუთხურიდან ჩამოწოდებული ბურთი უმეთვალყუროდ დარჩენილმა კრავჩენკომ კარში შეაგორა – 2:2.

დინამოელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი ქულის გადარჩენის პერსპექტივას არ მოუხიბლავს. 63–ე წუთზე მშვენიერი კომბინაცია გაითამაშეს გუცაევმა და შენგელიამ. თბილისელთა გარემარბი სწრაფად შეიჭრა მარჯვენა ფლანგზე და ბურთი კარის გასწვრივ ჩააწოდა. იქ კი კვლავ შენგელია აღმოჩნდა – თავური დარტყმა ზუსტი იყო – 3:2.

დარჩენილ დროში "შახტიორი" ბევრს უტევდა. თუმცა არც თბილისელები იცავდნენ თავს პასიურად. 82–ე და 87–ე წუთებზე კრავჩენკომ და კაკილაშვილმა გოლის გატანის ხელსაყრელი მომენტები დაკარგეს. უფრო ზუსტად კი, მეორე შემთხვევაში კაკილაშვილის სახიფათო დარტყმის შემდეგ ძალზე კარგად ითამაშა დონეცკელმა გოლკიპერმა.

ასე თუ ისე, თბილისის "დინამომ" შეინარჩუნა ანგარიში და შინ მეტად ძვირფასი ორი ქულა წამოიღო.

"ლელო", 30 სექტემბერი, 1984 წ.